

# გარემოს დაცვა და ადამიანის უფლებები



საქართველოს  
ახალგაზრდა  
იურისტთა  
ასოციაცია

**Brot**  
für die Welt

Bread for the World -  
Protestant  
Development Service

## ზამთრის სკოლა სტუდენტებისთვის გარემოს დაცვა და ადამიანის უფლებები

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია გერმანული ფონდის **Brot für die Welt** (BfdW) მხარდაჭერით, აცხადებს ზამთრის სკოლას სტუდენტებისთვის „გარემოს დაცვა და ადამიანის უფლებები“.

დარგის ექსპერტები სკოლის ფარგლებში განიხილავენ გარემოს დაცვასა და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხებს, მათ შორის, **საკონსტიტუციო სამართალწარმოება გარემოს დაცვით საკითხებზე; გარემოსდაცვით მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა; ევროკავშირის წინაშე არსებული გარემოსდაცვითი ვალდებულებები; საერთაშორისო სამართალწარმოება და საერთაშორისო მექანიზმები გარემოს დაცვით საკითხებზე.**

# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



გამთრის სკოლაში მონაწილეობა შეუძლიათ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატის მე-2, მე-3 და მე-4 კურსისა და მაგისტრატურის სტუდენტებს. სკოლაში მონაწილეობის მისაღებად წახალისებულნი არიან რეგიონული უნივერსიტეტების სტუდენტები.

დაინტერესებულმა პირებმა **2024 წლის 21 იანვრის ჩათვლით** უნდა შეავსონ [ელექტრონული სარეგისტრაციო ფორმა](#), ასევე, დამატებით, განმცხადებლის CV (რეზიუმე) უნდა გამოიგზავნოს შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე [mabuladze@gyla.ge](mailto:mabuladze@gyla.ge). მეილის სათაურში უნდა მიეთითოს „გამთრის სკოლა“.

## **კონკურსის ეტაპები და გამარჯვებულთა გამოვლენა:**

მონაწილეთა შერჩევა მოხდება გამთრის სკოლის შესარჩევი კომისიის მიერ.

**პირველი ეტაპი:** წარმოდგენილი განაცხადის ფორმალური შესაბამისობის შემოწება კონკურსის მოთხოვნებთან; განაცხადთა შინაარსობრივი შეფასება და გადარჩევა; (შეფასების კრიტერიუმებია: გამთრის სკოლის მიზნებთან და თემატიკასთან კონკურსანტის კვალიფიკაციის, ინტერესების და მოტივაციის თავსებადობა);

**მეორე ეტაპი:** გასაუბრება და გამარჯვებული კანდიდატების გამოვლენა.

კონკურსის მეორე ეტაპზე გადასულ მონაწილეებს შესაძლოა მოეთხოვოთ CV-ში მითითებული გამოცდილების/კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის წარმოდგენა.

გამთრის სკოლა ჩატარდება 2024 წლის 12-16 თებერვალს. სკოლის ფარგლებში სრულად იქნება დაფარული გამთრის სკოლის ხარჯები. კერძოდ, უზრუნველყოფილი იქნება მონაწილეების ტრანსპორტირება, სასტუმროში განთავსება და კვება.

კითხვების არსებობის შემთხვევაში მოგვწერეთ შემდეგ ელ-ფოსტაზე: [mabuladze@gyla.ge](mailto:mabuladze@gyla.ge)